სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის უნივერისტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 9 ოქტომბრის N6 სხდომის ოქმით დამტკიცებული ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულებაში ცვლილებები:

ბ) დებულების 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,მუხლი 29. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტები და ფაკულტეტის სხვა სასწავლო-სამეცნიერო ერთეულები

1. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტში შედის შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტები:

ა) ფსიქოლოგიის მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი;

ბ) განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი.

2. ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი შედგება შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებისგან:

ა) კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ა.ა) კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მიმართულება;

ა.ბ) კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართულება;

ა.გ) ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მიმართულება;

ა.დ) ოკუპაციური თერაპიის მიმართულება;

ბ) პიროვნების, შეფასებისა და კონსულტირების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ბ.ა) პიროვნების ფსიქოლოგიის მიმართულება;

ბ.ბ) ფსიქოლოგიური შეფასება/დიაგნოსტირების და კონსულტირების მიმართულება;

გ) სოციალური ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

გ.ა) სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულება;

გ.ბ) გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მიმართულება;

დ) განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

დ.ა) განათლების ფსიქოლოგიისა და კვლევის მიმართულება;

დ.ბ) სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია და კონსულტირება;

ე) შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ე.ა) ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულება;

ე.ბ) ადამიანური რესურსის მართვის მიმართულება;

3. განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი შედგება შემდეგი სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტებისგან:

ა) პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ა.ა) პედაგოგიკის თეორია და პრაქტიკის მიმართულება;

ა.ბ) განათლების ისტორიის მიმართულება;

ბ) მასწავლებელთა განათლების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

ბ.ა) საგნის სწავლების მეთოდიკების მიმართულება;

ბ.ბ)გამოყენებითი დიდაქტიკისა და კონსულტირების მიმართულება;

გ) ინტერდისციპლინური სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანებულია:

გ.ა) განათლებაში ინტერდისციპლინური კვლევების მიმართულება;

გ.ბ) განათლებაში ციფრული ტექნოლოგიების მიმართულება.

4. სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტსა და მიმართულებას ხელმძღვანელობს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრი. ხელმძღვანელად შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ იმავე ინსტიტუტის ან მიმართულების წევრი პროფესორი და/ან ასოცირებული პროფესორი 2 წლის ვადით.

5. სასწავლო სფეროს სხვა სტრუქტურული ერთეულების (ლაბორატორიები და სხვა) კონკრეტული ჩამონათვალი დგინდება შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის წარდგინებით, ფაკულტეტის საბჭოს მიერ. სასწავლო ლაბორატორიის ხელმძღვანელობა, ეკისრება ფაკულტეტის არანაკლებ ასოცირებულ პროფესორს ან განსაკუთრებულ შემთხვევაში ასისტენტ პროფესორს.“.